



განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-0124170726 განცხადების თარიღი: 18.06.2024
ხელმოწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/რომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

2024 წლის 17 ივნისის N24.1065.1202 განკარგულებით მოწონებული ფუნქციური ზონები

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



წერილის ნომერი: **01-0124170726**
თარიღი: **18/06/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებებით N01241571694-67; N01241341009-67; N01241642-67 ; N01241551300-67; N0124129265-67 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ინიციატივით, მოთხოვნილია, ქ. თბილისის ტერიტორიაზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დამტკიცებული ფუნქციური ზონის ცვლილება. აღნიშნული საკითხები „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-9 მუხლის მე-9, მე-10, მე-12 პუნქტების თანახმად, განხილულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და მოწონებული იქნა 2024 წლის 17 ივნისის N24.1065.1202 განკარგულებით.

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-9 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტების შესაბამისად, განსახილველად გიგზავნით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 ივნისის N24.1065.1202 განკარგულება - 6 ფურცელი;
- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი - 6 ფურცელი;

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი - 5 ფურცელი;

4. პრეზენტაცია - 16 ფურცელი

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიცირი
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 24.1065.1202
17 / ივნისი / 2024 წ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) 2024 წლის 5 ივნისის N01241571694-67 განცხადებით რამაზი ხვედელიძემ (პ/ნ 62006053243) მოითხოვა ქალაქ თბილისში, დოდაშვილის ქუჩა N24-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.004) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ბ) 2024 წლის 13 მაისის N01241341009-67 განცხადებით ნიკა ღონლაძემ (პ/ნ 01005028322) მოითხოვა ქალაქ თბილისში, დაბა კოვლოში, ბეთანიის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.08.707) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა;

გ) 2024 წლის 12 ივნისის N01241642-67 განცხადებით ლევან ლალიაშვილმა (პ/ნ 14001026895) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა N70-ში; ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა N66-ში; ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა N68-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N01.17.12.040.064; N01.17.12.040.074; N01.17.12.040.062) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება;

დ) 2024 წლის 3 ივნისის N01241551300-67 განცხადებით რამაზი ხვედელიძემ (პ/ნ 62006053243) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.017.154) მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება;

ე) 2024 წლის 8 მაისის N0124129265-67 განცხადებით ზურაბ სხირტლაძემ (პ/ნ 01019057856) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.15.841) სარეკრეაციო ზონის (რზ), სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონისა (რზ) და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა;

ვ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის



მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, ინიციატივით, განიხილავს ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.21.871, N81.02.21.263, N81.02.21.264, N81.02.21.335, N81.02.21.536, N81.02.93.130, N81.02.21.155) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სასოფლო სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 1-ითა (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილებას.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა:

ა) ქალაქ თბილისში, დოდაშვილის ქუჩა N24-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.004) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

N01.17.12.022.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებული ფუნქციური ზონირების დაბრუნება.

ვინაიდან N01.17.12.022.004 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე არეალზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება განხორცილდეს საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დოდაშვილის ქუჩა N24-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.004) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, ბეთანიის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.08.707) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა.

N81.01.08.707 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შენობის ოპტიმალურად განთავსება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 11 ივნისის N01241631591 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში, N81.01.08.707 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ინიციატივით, ხორციელდება, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, ბეთანიის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.08.707) ნაწილსა და მიმდებარე

დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა N70-ში; ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა N66-ში; ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა N68-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N01.17.12.040.064; N01.17.12.040.074; N01.17.12.040.062) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული ტერიტორიის ლეგალიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 12 ივნისის N01241642351 წერილის შესაბამისად, განსახილველ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელებულია ფაქტობრივ შენობა-ნაგებობასა და ღობეზე, მას არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია და არც აღნიშნული ფუნქციით განვითარების პერსპექტივა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა N70-ში; ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა N66-ში; ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა N68-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N01.17.12.040.064; N01.17.12.040.074; N01.17.12.040.062) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება მისაღებია.

დ) ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.017.154) მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება;

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს რეგისტრირებული საკადასტრო მონაცემების გასწორება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 13 ივნისის N0124165811 წერილით, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივ შენობა-ნაგებობაზე და არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში, N01.11.12.017.154 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.017.154) ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.15.841) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ), სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და

გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონისა (რზ) და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 16 მაისის N01241372194 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, რომ საპროექტო არეალზე, განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა (რზ) და სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

განსახილველ ტერიტორიაზე, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებულია საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა და შესაბამისი შეთანხმების წერილები (N16-01241034294; 15/04/2024, MIA 4 24 01132321; 15/04/2024).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2024 წლის 29 მაისის N01241503404 წერილით მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კონტური დაკორექტირდეს ზემოაღნიშნული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შესაბამისად, კერძოდ, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელდეს მხოლოდ იმ მონაკვეთზე, რომელიც შეთანხმებული სქემის მიხედვით, გათვალისწინებულია საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.

N81.02.15.841 საკადასტრო ერთეულსა და მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: N81.02.15.701, N81.02.15.839, N81.02.15.840), ასევე, მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე განხორციელდა სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება შეთანხმებული მოძრაობის ორგანიზების სქემის შესაბამისად, რომელიც ტერიტორიაზე უზრუნველყოფს ქვეითებისა და სატრანსპორტო საშუალებების ორგანიზებულად გადაადგილებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.15.841, N81.02.15.701, N81.02.15.839, N81.02.15.840) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის (რზ), სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონისა (რზ) და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.21.871, N81.02.21.263, N81.02.21.264, N81.02.21.335, N81.02.21.536, N81.02.93.130, N81.02.21.155) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება სასოფლო სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 1-ითა (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N41-31 დადგენილებით, საპროექტო არეალის მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება განხორციელდა განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. განსახილველ შემთხვევაში, ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს განაშენიანების რეგულირების გეგმის მიღმა ტერიტორიაზე, სასოფლო სამეურნეო ზონის (სოფზ) სახით არსებული ხარვეზის გასწორება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო, 2024 წლის 11 ივნისის N61-01241632681 წერილით, არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სასოფლო სამეურნეო ზონა (სოფზ) შეიცვალოს

სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.21.871, N81.02.21.263, N81.02.21.264, N81.02.21.335, N81.02.21.536, N81.02.93.130, N81.02.21.155) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სასოფლო სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 1-ითა (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ბ.ა“ და „ე.ბ“ ქვეპუნქტებისა და „ტექნიკური რეგლამენტის-დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად, შემდეგ საკითხებზე:

ა) ქალაქ თბილისში, დოდაშვილის ქუჩა N24-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.004) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება;

ბ) ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, ბეთანიის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.08.707) ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა;

გ) ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა N70-ში; ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა N66-ში; ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა N68-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N01.17.12.040.064; N01.17.12.040.074; N01.17.12.040.062) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება;

დ) ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.017.154) ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება;

ე) ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.15.841, N81.02.15.701, N81.02.15.839, N81.02.15.840) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის (რზ), სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონისა (რზ) და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა;


ვ) ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები:

N81.02.21.871, N81.02.21.263, N81.02.21.264, N81.02.21.335, N81.02.21.536, N81.02.93.130, N81.02.21.155) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სასოფლო სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 1-ითა (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერი) ირაკლი ხმალაძეს.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

___ 2024 წ.

ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 15/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.101.016587) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა (ფუნქციური ზონები) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა) პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი/ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის ცვლილება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა იწონებს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, შემდეგ საკითხებზე:

ა) ქალაქ თბილისში, დოდაშვილის ქუჩა, N24-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.004) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

N01.17.12.022.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებული ფუნქციური ზონირების დაბრუნება.

ვინაიდან N01.17.12.022.004 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე არეალზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება განხორცილდეს საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დოდაშვილის ქუჩა, N24-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.004) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, ბეთანიის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.08.707) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა.

N81.01.08.707 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შენობის ოპტიმალურად განთავსება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 11 ივნისის N01241631591 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში, N81.01.08.707 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, ბეთანიის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.08.707) ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა N70-ში; ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა N66-ში; ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა N68-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N01.17.12.040.064; N01.17.12.040.074; N01.17.12.040.062) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული ტერიტორიის ლეგალიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 12 ივნისის N01241642351 წერილის შესაბამისად,

განსახილველ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელებულია ფაქტობრივ შენობა-ნაგებობასა და ღობეზე, მას არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია და არც აღნიშნული ფუნქციით განვითარების პერსპექტივა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა N70-ში; ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა N66-ში; ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა N68-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N01.17.12.040.064; N01.17.12.040.074; N01.17.12.040.062) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება მისაღებია.

დ) ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.017.154) მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება;

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს რეგისტრირებული საკადასტრო მონაცემების გასწორება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 13 ივნისის N0124165811 წერილით, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივ შენობა-ნაგებობაზე და არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში, N01.11.12.017.154 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.017.154) ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.15.841) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ), სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-

1) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონისა (რზ) და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 16 მაისის N01241372194 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ საპროექტო არეალზე, განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა (რზ) და სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

განსახილველ ტერიტორიაზე, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებულია საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა და შესაბამისი შეთანხმების წერილები (N16-01241034294; 15/04/2024, MIA 4 24 01132321; 15/04/2024).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2024 წლის 29 მაისის N01241503404 წერილით მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კონტური დაკორექტირდეს ზემოაღნიშნული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შესაბამისად, კერძოდ, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელდეს მხოლოდ იმ მონაკვეთზე, რომელიც შეთანხმებული სქემის მიხედვით, გათვალისწინებულია საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.

